მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე გულუხვი ადამიანი იყო. იგი განსაკუთრებით გულუხვი ხდებოდა რამადანის თვეში, როცა მას ჯიბრილი (ალლაჰის მშვიდობა მას) ხვდებოდა

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე გულუხვი ადამიანი იყო. იგი განსაკუთრებით გულუხვი ხდებოდა რამადანის თვეში, როცა მას ჯიბრილი (ალლაჰის მშვიდობა მას) ხვდებოდა, ჯიბრილი ყოველ ღამეს რამადანში მას ხვდებოდა და ერთად სწავლობდნენ ყურანს. ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიკეთით უფრო გულუხვი იყო, ვიდრე მოქცეული ქარი».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველაზე გულუხვი ადამიანი იყო, და ის განსაკუთრებით მზრუნველი და გულუხვი ხდებოდა რამადანის თვეში, როდესაც ის აძლევდა იმას, რაც უნდა მიეცეს, და იმათ, ვისაც ეს ეკუთვნოდა. ამ გაზრდილი გულუხვობის მიზეზები იყვნენ ორი რამ: პირველი: ჯიბრილთან შეხვედრა (მშვიდობა მას). მეორე: ყურანის სწავლა, რაც გულისხმობს მის ზეპირად კითხვის პროცესს. ჯიბრილი (მშვიდობა მას) მასთან ერთად იმეორებდა ყველა იმ ნაწილს, რაც ყურანიდან იყო გარდმოცემული. ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იყო ყველაზე გულუხვი, კეთილშობილი და სიკეთის მქმნელი, ის უფრო სწრაფად ეხმარებოდა ადამიანებს, ვიდრე სასარგებლო ქარი, რომელსაც ალლაჰი წვიმითა და წყალობით გზავნის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6179